ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №23/88 (ფმ-848)

(CPV 71300000; 71351600)

(გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრების შესაბამისად)

ქ. თბილისი, **ივნისი 2023 წ.**

ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877)** (შემდგომში ,,შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფროსის, **გიორგი მარგებაძის**, სახით და მეორე მხრივ, **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“** შემდგომში ,,მიმწოდებელი“, წარმოდგენილი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **ნინო თანდილაშვილის** სახით, ვმოქმედებთ რა **"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №502 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:**

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. **ხელშეკრულების საგანი**

მიმწოდებლის მიერ, **2023 წლის 10 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში, მიმდინარე და სამი მომდევნო დღის ამინდის პროგნოზის მომზადება ქ. თბილისისთვის და შემსყიდველისათვის ეტაპობრივად მიწოდება.**

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **140 (ას ორმოცი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №502 დადგენილების - "საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ დანართი №7-ის შესაბამისად.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველისთვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგენის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად ხელშეკრულების მე-2 მუხლითგათვალისწინებული პერიოდის შესაბამისად.

ბ) მომსახურების მიწოდება განახორციელოს შემდგომ ელექტრონულ მისამართზე: l.datashvili@msda.ge.

გ) მიაწოდოს შემსყიდველს 2023 წლის **10 ივნისს 13 ივნისს, 16 ივნისს 19 ივნისს 21 ივნისს, 24 ივნისს და 27 ივნისს** მიმდინარე და მომდევნო **სამი დღის** ამინდის პროგნოზი ქ. თბილისისთვის;

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ე) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებაში.

ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ი ან/და პირთა ჯგუფი ან/და კონკრეტულ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტი (ექსპერტი).

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს მომსახურების ხარისხის კონტროლი. მიმწოდებელი ვალდებულია კონტროლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება განახორციელოს პირადად, შემსყიდველის მიერ დაწესებულ გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 5 დღე).

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1 მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია) წარმოდგენის თარიღიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

8.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

8.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

8.4 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების/ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს გაფრთხილების წერილს, რომელშიც განესაზღვრება ვალდებულების შესრულების დამატებითი ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. დამატებით ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა შესაძლებელია გაფრთხილებისა და დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე, კანონით დადგენილ შემთხვევებში.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **10%-ის ოდენობით.**

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების **5%-ის ოდენობით.**

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ან/და ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში) შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს

პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს ვადაგადაცილება გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალეულობით.

10.7 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს სანქციის დაკისრების შესახებ შეტყობინების გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გაქვითვა განხორციელდება გადასახდელი თანხიდან. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის/მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**

14 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15 სხვა პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად".

15.2 მხარეები ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის გამოიყენებენ შემდეგ ელექტრონულ ფოსტას: შემსყიდველი l.datashvili@msda.ge მიმწოდებელი service@nea.gov.ge აღნიშნული ელ. ფოსტებიდან განხორციელებული მიმოწერა წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტაციას.

16 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო"

ს/კოდი: 205169066
მის: ქ. თბილისი,
ა. მიცკევიცის ქ №29/29ა
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 02.03.07

გიორგი მარგებაძე
სააგენტოს უფროსი

Giorgi Margebadze
Digitally signed by Giorgi Margebadze
Date: 2023.06.09 17:17:26 +04'00'

მიმწოდებელი

სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტო"

ს/კოდი: 204559691
მის: ქ. თბილისი,
დ. აღმაშენებელის გამზ 150
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 707357071

ნინო თანდილაშვილი
სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Digitally signed by LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Date: 2023.06.09 16:57:43 +04'00'